

ნინო შვანია\*

## გადაბირება და შეგუიანება, როგორც დანაშაულის ჩასადენად ადამიანის ნაქვების (თანამონაწილეობის) სახეები ძველ ქართულ სისხლის სამართალში

წარმოდგენილი სტატიის ფარგლებში განხილულია სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის – თანამონაწილეობის შესახებ. კერძოდ, მიმოხილულია თანამონაწილეობის ერთ-ერთი სახის ნამქვებლობის თაობაზე ძველ ქართულ სამართალში, რაც მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია გადამბირების და შემგუიანების სახით. საკითხის განხილვის დროს, განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული დანაშაულის სუბიექტური მხარის კვლევაზე, რადგანაც, ნამქვებლობის დასჯადობა სწორედ სუბიექტური შერაცხვის პრინციპს ეფუძნება. სტატიის ცალკეულ თავებში ნამქვებლობის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი განხილულია სასამართლო პრაქტიკაში არსებული კონკრეტული მაგალითების საფუძველზე.

სტატიის ბოლოს გაკეთებულია დასკვნა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს, თანამონაწილენი არც ერთ შემთხვევაში არ თავისუფლდებოდნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და მეტიც, მათი პასუხისმგებლობა უფრო მეტად იყო გამოკვეთილი, ვიდრე უშუალო ამსრულებლებისა, რომლებიც შემთხვევის ადგილზე ნამქვებლების ნებას აღასრულებდნენ. ზემოაღნიშნული რასაკვირველია ბრალეული პასუხისმგებლობის განსაზღვრისას სუბიექტური შერაცხვის პრინციპის არსებობაზე მიუთითებს, რადგანაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ექვემდებარება არა მხოლოდ დანაშაულის უშუალო ამსრულებელი, არამედ ის პირიც, ვინც სიტყვით და რჩევით აქეზებს მეორე პირს დანაშაულის ჩასადენად.

**საკვანძო სიტყვები:** თანამონაწილეობა, ნამქვებელი, სუბიექტური შერაცხვა, ქართული სამართლის ძეგლები, შემგუიანებელი, გადამბირებელი.

### 1. შესავალი

ნამქვებელი არის პირი, რომელიც აგუიანებს სხვა პირს დანაშაულის ჩასადენად და ამით აღუძრავს დანაშაულის ჩადენის სურვილს.<sup>1</sup> იგი არ იღებს მონაწილეობას არც დანაშაულის შესრულებაში და არც მის მომზადებაში, არამედ მხოლოდ ზემოქმედებას ახდენს ამსრულებლის ნებაზე. თანაც ამსრულებელი, რომლის ნებაზეც ზემოქმედებას ახდენს ფსიქიკური თანამონაწილე, არ შეიძლება ჩაითვალოს უბრალო იარაღად, უბრალო საშუალებად. ფსიქიკური თანამონაწილის ზემოქმედება გაივლის ამსრულებლის ცნობიერებაში, გახდება მისი ნებელოთი მოქმედების მოტივი და ამგვარად ჩაერთვება მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში.<sup>2</sup> ამიტომ, ნამქვებლობის დასჯადობის საკითხი, რომელიც ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკურ მხარეზე და აღუძრავს დანაშაულის ჩადენის განზრახვას, მთლიანად ეფუძნება სუბიექტური შერაცხვის პრინციპს.

წარმოდგენილი სტატიის ფარგლებში განხილული იქნება საკითხი ნამქვებლობის ერთ-ერთი სახის – გადამბირების შესახებ ძველ ქართულ სამართალში. საკითხი სტატიაში განხილულია ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით. ამასთან, საკითხის განხილვის დროს,

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, მონვეული ლექტორი. ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორი.

<sup>1</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. 2, თბ., 2007, 8.

<sup>2</sup> იქვე, 16-17.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება დანაშაულის სუბიექტური მხარის კვლევაზე, რადგანაც, როგორც აღინიშნა, ნამქეზებლის დასჯადობა სწორედ სუბიექტური შერაცხვის პრინციპს ეფუძნება.

## **2. ტერმინ „გადაბირების“ განმარტებისთვის**

ქართული სამართლის ძეგლების შესწავლისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ნამქეზებლობა ხშირად გამოხატულია ტერმინით – გადაბირება. ამიტომაც, მოცემულ სტატიაში ნამქეზებლობის დასჯადობის საკითხი სწორედ ტერმინ ბირების/გადაბირების ირგვლივ იქნება განხილული. უპირველესად, უპრიანია განიმარტოს, თავად ტერმინ „ბირების“ მნიშვნელობა.

სულხან-საბას განმარტებით თანახმად, ბირება არს კაცი გაითვისოს, ანუ დაანდოს საქმე თვისი.<sup>3</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ბირება გულისხმობს აღძვრას, მოხიბლვას, აგულიანებას, მიმხრობას, დაყოლიებას, გადაბირებას, ჩაგონებას, დარიგებას.<sup>4</sup> ნამქეზებლობა ადამიანის გადაბირების სახით სახეზე გვაქვს მაშინ, როდესაც ნამქეზებელი აგულიანებს პირს კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად. ზოგადი საუბრები დანაშაულის ჩადენის „დადებით“ მხარეებზე ნამქეზებლობად ვერ ჩაითვლება, თუ იგი კონკრეტული ობიექტისკენ არ არის მიმართული.<sup>5</sup>

## **3. ტერმინ „გადაბირების“ მნიშვნელობა ქართული სამართლის ძეგლებში**

განვიხილოთ დანაშაულის ჩასადენად ადამიანის გადაბირების კონკრეტული შემთხვევები ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით.

მე-18 საუკუნის განჩინებაში ოთარა კალანდარიშვილის, გოგითარა ჩხატარაშვილის და დავით ჯღენტის საქმეზე, ჯღენტმა უჩივლა კალანდარიშვილს: „ამ კაცმა ჩემი კაცი გადამბირა, შინ ჰყავდა, ბევრი ამტერა, მერმედ ბატონისშვილს ურჩია, დაიჭირა, მისცა და ბატონიშვილმა თათარში გაყიდა“<sup>6</sup> – განჩინებიდან ჩანს, რომ ბრალდების თანახმად, კალანდარიშვილმა დანაშაულის ჩასადენად გადმოიბირა კონკრეტული ადამიანი, შემდეგ ბევრი „ამტერა“ – ე.ი ბევრი დანაშაული ჩაადენინა, ბოლოს კი ბატონიშვილს ურჩია და როგორც დანაშაულის ჩამდენი პირი დააჭერინა. ეს მოცემულობა ძალიან ჰგავს დანაშაულის პროვოკაციის შემთხვევას, დანაშაულის ნამქეზებელსა და დანაშაულის პროვოკატორს შორის ბევრი საერთო ნიშანია. ორივე შემთხვევაში კონკრეტული პირი მეორეს უბიძგებს დანაშაულის ჩადენისკენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნაქეზების დროს ნამქეზებლის მთავარი განზრახვა და სურვილია ნაქეზებულმა ნამდვილად ჩაიდინოს დანაშაული, ხოლო დანაშაულის პროვოკაციის დროს დამნაშავის მთავარი მიზანია პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა, მისი მხილება დანაშაულის ჩადენისას და არა კონკრეტული დანაშაულის ჩადენა. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების შინაარსი სწორედ დანაშაულის პროვოცირების შემთხვევას ჰგავს, რადგანაც კალანდარიშვილმა კონკრეტული პირი ჯერ გადაიბირა დანაშაულის ჩასადენად, ბევრი ავი საქმეც ჩაადენინა და ბოლოს ბატონიშვილის წინაშე ამხილა და დააჭერინა. განჩინებაში ბრალდებულის ბედი შემდეგი სახით არის გადანყვტილი: მას უნდა დაეფი-

<sup>3</sup> ორბელიანი ს., ლექსიკონი ქართული, ტ. 1, თბ., 1991, 104.

<sup>4</sup> ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, შემდგ. გრიგოლ რუხაძე, თბ., 2008, 6.

<sup>5</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. 2, თბ., 2007, 164.

<sup>6</sup> ქართული სამართლის ძეგლები, რედ. ი. დოლიძე, ტ. 6, თბ., 1977, 516.

ცა: „არც მე უწინის გადმოგებირების, არც მემემტერების და არც ჩემის ბატონის რჩევით ის გაყიდულიყოს“.<sup>7</sup> ბრალდებულს თავი უნდა ემართლებინა არა მხოლოდ იმაზე, რომ მას არ გადმოგებირებია კონკრეტული პირი, არამედ იმაზეც, რომ ეს პირი ბატონს მისი რჩევით არ გაუყიდა. აქაც სახეზე გვაქვს ნაქეზება საქმით – გადმოგებირება აქტიური ქმედებით და ნაქეზება სიტყვით – მისი რჩევით ადამიანის ტყვედ გაყიდვა. თუ, ვერ დაიფიცებდა, მაშინ დაეკისრებოდა დაზარალებული მხარისთვის 1 ტყვის გადაცემა. მართლაც, მოცემულ განჩინებაში შერწყმულია დანაშაულის ნაქეზების და პროვოკაციის ელემენტები. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად პირის გადმოგებირებას ადილი ექნებოდა სწორედ კონკრეტული დანაშაულების ჩასადენად (ე.ი. სახეზეა ნაქეზება), ხოლო გარკვეული პერიოდის შემდგომ, შესაძლოა კალანდარიშვილს გადაენწყვიტა მისი თავიდან მოშორება, რიგი ფაქტორების გამო და ემხილა იგი ბატონთან, რაც უკვე გარკვეულწილად დანაშაულის პროვოცირების ელემენტებს შეიცავს.

ტერმინი გადაბირება შესაძლოა ყველა შემთხვევაში არ გულისხმობდა დანაშაულის ჩასადენად გადაბირებას, მაგრამ ძირითადად სწორედ უარყოფით კონტექსტში გამოიყენებოდა. მაგ: მე-19 საუკუნის განჩინებაში გაბრიელ და მახარობელ ჩხაიძეების სასისხლო საქმეზე, ვკითხულობთ: მახარობელმა უჩივლა გაბრიელს: „მოყვარე მყავდა, შვილი მომაბარა გასაზღვლათ და ნახევარს ზროხას მაძლევდა გაზდაში, ჩემსას მოვიდა, შენ გარდამბირე, მოყვარეც დამიკარგე და ის ზროხაც დამიკარგე“.<sup>8</sup> აქაც საუბარია ადამიანის ნაქეზებაზე, მისთვის უარყოფითი აზრების ჩაგონებაზე, რამაც საბოლოოდ მომჩივანსა და გადაბირებულ პირს შორის ურთიერთობის გაფუჭება და მოყვრობის მოშლა გამოიწვია.

მე-19 საუკუნის განჩინება იოვანე ნაკაშიძისა და ონისიმე მენაფირეს ყმის საქმეზე, საინტერესოა იმ კუთხით, რომ საუბარია გადაბირების ხერხებზე, კერძოდ გადაბირება მოხდა მტრობით და მძლავრობით თუ გადაბირებულმა თავად მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება. განჩინების თანახმად ნაკაშიძემ უჩივლა ონისიმე მენაფირეს, რომ „ამ კაცმა კაცი გადამბირა, ხელთ ჰყავს არ მაძლევს“<sup>9</sup> რომელიც მისივე განმარტებით „ჩხუბით და მტერობით“ იყო გადაბირებული. მენაფირეს ფიცი დაედო შემდეგი სახით: „შენდა ბატონი რომ მომდურავათ იყავით, იმისთვის თუ მოვიდა, თორემ არც მე და არც ჩემს ძმას იობასის კაცი თქვენის ჯინისა და მტერობისათვის არ გადმოგვებირების.“ – ფიცის ტექსტიდან კარგად ჩანს, ბრალდებულს ევალბოდა დაედასტურებინა, რომ გადაბირებული კაცი თავისი ნებით მოსულიყო მასთან (შენ და ბატონი რომ ერთმანეთს დაემდურეთ, ალბათ მაგიტომ მოვიდა ჩვენთანო), თორემ თქვენ ჯინზე არ გადმოგვებირებინებსო. შესაბამისად, თუკი მოფიცარი ვერ დაადასტურებდა, რომ გადმოგებირებული კაცი ჩხუბით და მძლავრობით გადმოიბირა და „გადმოგებირების“ ნება სახეზე არ იყო, მაშინ ვალდებული გახლდათ ეს სადავო კაცი ნაკაშიძისთვის დაებრუნებინა.<sup>10</sup>

ტერმინი „გადაბირება“ შესაძლოა შინაარსობრივი კუთხით კავშირში იყოს ტერმინთან „გაბრიყვება“. გაბრიყვება ადამიანის მოტყუებას ნიშნავს.<sup>11</sup> შესაბამისად, გაბრიყვებული ადამიანი შეცდომაშია შეყვანილი და მეორე პირის, ე.ი. ნამქეზებლის ნების შესაბამისად მოქმედებს, რადგანაც მისი ნების მოქმედება გარკვეულწილად დათრგუნულია.

<sup>7</sup> იქვე, 516.

<sup>8</sup> იქვე, 525-526.

<sup>9</sup> იქვე, 527.

<sup>10</sup> იქვე, 527.

<sup>11</sup> ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, მე-3 გამოც., თბ., 1978, 559.

საერისთავოში ისეთ შემთხვევებსაც ჰქონია ადგილი, როცა ერთი კაცი მეორეს ყმას გადაბირებდა, დანაშაულის ჩასადენად, სხვაგვარად ადამიანს გააბრიყვებდა. მე-19 საუკუნის განჩინების, პაატა გოგიბერიძის და ხახუტა მენაბდის ცხენის საქმის თანახმად, ხახუტა მენაბდემ პაატას ცხენის წართმევა უჩივლა, პაატამ პასუხად შემდეგი საჩივარი წარმოადგინა: ერთი ყაზახი მყავდა, გამიბრიყვა ამ კაცმა, საერისთავოში წაიყვანა, ცხენი ამტერა ორი და იმ საქმეში კაცი მეკარგვის და მართალია, სამართალი ვსთხოვე და არ მომცა. მენაბდეს კი შემდეგი ფიცით უნდა ემართლებინა თავი: „არც მე შენი კაცი მხლებოდეს, არც შენის კაცის დამაშაკობითა და ადგილის კაცობით მე ცხენები მემტერებოოს, არც გამეგზავნოს და არც მე შენთვის სამართალი დამეკავებოოს“.<sup>12</sup> როგორც ვხედავთ კაცის გადაბირება დანაშაულის ჩასადენად გამოხატულია ტერმინით – კაცის გაბრიყვება. ამავე ფიცში ჩანს თანამონაწილეობის შემდეგი ფორმები: კაცის ხლება დანაშაულის ჩადენის დროს, დახმარების სახით. კაცის დამაშაკობით და ადგილის ცოდნით ცხენის ქურდობა და კაცის გაგზავნა დანაშაულის ჩასადენად. თუკი მენაბდე შეძლებდა დაფიცებას, მაშინ პაატა გოგიბერიძე გამტყუნდებოდა და ევალებოდა ცხენის უკან დაბრუნება. „თუმც ცხენის გარდახდა ვერ შაიძლოს, ვინც ცხენი წამოიყვანა, ხელამთქმელად მიეზაროს“<sup>13</sup> – აცხადებს განჩინების ავტორი. აქ ვხედავთ ძირითადი პასუხისმგებლობის დაკისრებას დანაშაულის დამაორგანიზებელ პირზე, ვინც მიიღო გადაწყვეტილება, დაგეგმა და კონკრეტული პირი, ძირითად შემთხვევაში თავისი ყმა გაგზავნა დანაშაულის ჩასადენად. თუკი, ვერ მოახერხებდა ცხენის დაბრუნებას, მაშინ ვალდებული ხდებოდა უშუალო ამსრულებელი – ხელთამქმნელი კაცი დაზარალებულისთვის გადაეცა. თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც თავად პაატა გოგიბერიძის პასუხისმგებლობაზეა საუბარი და არა უშუალო ამსრულებლის. ყმის სხვისთვის მიცემით ხომ სწორედ ბატონი ზარალდებოდა, ხოლო თავად ყმის ინტერესები უკანა პლანზე იყო გადატანილი.

მე-19 საუკუნის განჩინებაში იესე რამიშვილისა და ივანე ჩანტლაძის საქმეზე, რამიშვილმა უჩივლა ჩანტლაძეს, რომ ჩემი შვილი შენმა შვილმა სიმონამ გამიბრიყვა, მაქსიმესთან მიიყვანა და შვილი თათარში დამიკარგაო, ხოლო ჩანტლაძემ აშორო უთხრა და ფიცი დაედო, რომ „რომელსაც შენ შვილის გადაბირვას შენ მიჩივი, ჩემი სიტყვით და პასუხით, საქმობით შენი შვილი არც გამებრიყვებოოს და არც მაქსიმესთან მისვლა მეთხრობოოს“.<sup>14</sup> აქაც ერთმანეთისგან არის გამიჯნული სიტყვით და საქმით ადამიანის გადაბირება დანაშაულის ჩასადენად, რასაც მეორენაირად ადამიანის გაბრიყვებაც ეწოდებოდა.

ამავე განჩინების თანახმად, ჩანტლაძემ უჩივლა რამიშვილს: „პირველათ შენი შვილი გაბრიელა თათარშიდ გოგოს მიბირვიდა, მართმევდა, მაგრამ ველარ მომიხერხა და მერმეთ მობრუნდა ისევეთ, გოგო წამართვა“<sup>15</sup> – აქ საუბარია უშედეგო ნაქეზებაზე, კერძოდ ვინმე გაბრიელა ცდილობდა გოგოს გადაბირებას თათარში წასაყვანად, თუმცა ვერ შეძლო, რის შემდეგაც გოგო უკვე ძალის გამოყენებით მოიტაცა. აღნიშნულ ბრალდებაზე მოპასუხის ფიცის ტექსტი იყო შემდეგი: „არც პირველათ და არც მეორეთ შენის გოგოს წაყვანა ჩემს შვილს დომებოდეს და არც წაეყვანოს, ტყულათ ბატონის შვილს თუ ახლდა, თვარა არც მისი სიტყვით და რჩევით და საქმობით ის შენი გოგო წაყვანილიყოს და არც წაყვანაზე ხლებოდეს და არც ჩემით და ჩემის ოჯახით და არც ჩემი ბუდობით და სმევით და ჭმევით და ადგილის კაცებით

<sup>12</sup> ქართული სამართლის ძეგლები, რედ. ი. დოლიძე, ტ. 6, თბ., 1977, 545.

<sup>13</sup> იქვე, 545.

<sup>14</sup> იქვე, 569.

<sup>15</sup> იქვე.

შენის გოგო არ დაგკარგოდეს“<sup>16</sup> – აქ ფიციტ გამოორიცხულია დანაშაულში ნებისმიერი ფორმით თანამონაწილეობა. კერძოდ მოპასუხე იფიცებდა, რომ არც საქმით, სიტყვით ან რჩევით არ მომხდარიყოს გოგოს მოტაცება. (დანაშაულის ნაქეზება), არც ნაყვანაზე ხლებოდეს ვინმეს – ეს უკვე დანაშაულის ჩადენაში დახმარებას გულისხმობს, და აქვე გამოორიცხულია დანაშავეთათვის დანაშაულის ჩადენაში ხელშეწყობა თვით მათი გამასპინძლების სახითაც – რომ არც ჩემის ბუდობით<sup>17</sup> და სმევით და ჭმევით ეგ დანაშაული ჩადენილი არ იყოსო. შესაბამისად, აქ განჩინების ავტორი საკმაოდ შორს მიდის და დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეობას გულისხმობს არა მხოლოდ სიტყვით, საქმით თუ რჩევით დახმარებას, არამედ დამნაშავეთა ოჯახში მიღებას, შეფარებას და მათ გამასპინძლებასაც კი დანაშაულში დახმარებად მიიჩნევს. განჩინების თანახმად, თუ მოპასუხე მხარე დაფიცებას ვერ შეძლებდა, უნდა გადაეხადა სისხლის ფასი, ხოლო თუკი სისხლის ფასის გადახდას ვერ შეძლებდა, მაშინ „რომელიც დანაშაულია, ხელთამქმნელად მიცეს.“<sup>18</sup> – ე.ი დანაშაულის უშუალო ამსრულებელი, როგორც ხელთამქმნელი, გადაეცემოდა დაზარალებულ მხარეს.

ასევე ყმის გადაბირებას უჩიოდა მე-19 საუკუნის განჩინებით გოგისა კეკელიძე ოტია ბიბინეიშვილს. ამ უკანასკნელს კი თავი უნდა ემართლებინა შემდეგი ფიციტით: „რომელსაც კაცის გაყიდვას შენ მიჩივი, ის კაცი მე არც გადმომებირებოთ და არც გამეყიდოს“<sup>19</sup> – ხოლო თუკი ამ ფიციტით თავის მართლებას ვერ შეძლებდა, მაშინ „სულის და ხორცის სისხლი მისცეს ოტიამ კეკელიძეს“-ო.<sup>20</sup>

#### 4. ტერმინი „გადაბირება“ დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვით

ტერმინ „ბირების“ მნიშვნელობას იცნობს დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნიც. კანონმდებელი ბატონიშვილი სამართლის წიგნის მე-4 მუხლში აღნიშნავს, რომ ანდერძის დაწერისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხომ არ არის იგი შედგენილი „შურიტა, გინა ბირებითა და ანუ ანგარებითა მოყუასთა გამო.“<sup>21</sup> ამავე სამართლის წიგნის 42-ე მუხლით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა განზრახ და გაუფრთხილებლობით სხვისი ქონების დანვისათვის. აღნიშნული დანაშაულის განზრახ ჩამდენი ისჯებოდა შემდეგი სახით: „რაიცა დაუნვიეს, ალუდგინოს მას წანახედი მისი და მოაკლდეს პატივსა, უკეთუ არავინ იქმეს ვნებულ...და

<sup>16</sup> იქვე, 569-570.

<sup>17</sup> ოჯახის ბუდობით დანაშაულის ჩადენაზე საუბარი მე-19 საუკუნის განჩინებაში მამუკა ბაქანიძის და იოანე გობრონიძის საქმეზე, სადაც მამუკამ უჩივლა იოანეს, რომ შენი ოჯახის ბუდობით და შენი ცოლისა და შვილების ცოდინარობით და საქმობით ჩემი შვილი და მუახლე დამეკარგა, გობრონიძეს შემდეგი ფიციტით უნდა დაეფიცნა: „არც მე და არც ჩემს ცოლს და არც დღეს ჩემს ოჯახშიდ ვართ, არც ჩვენის მონდობილობით და არც ჩვენის ცოდინარობით შენი შვილი და შენი გოგო არ ნაყვანილიყოს და არც იმ ქალის გათხოვებაშიდ ვრეოდეთ, რაც მისი ნებით არ ნაიყვანა ჯუმათელმა“, იხ. იქვე, 538-539. აქ კარგად ჩანს, რომ დანაშაულში თანამონაწილეობისას თანამონაწილის მხრიდან უნდა გამოორიცხოს, როგორც განზრახვის ნებელობითი – ვოლუნტატიური, (მონდობილობით), ასევე ცოდნის – კოგნიტიური (ცოდინარობით) ელემენტი. ასევე საქმით მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში – არც იმ ქალის გათხოვებაში ვრეოდეთო.

<sup>18</sup> იქვე, 570.

<sup>19</sup> იქვე, 571-572.

<sup>20</sup> იქვე, 571-572.

<sup>21</sup> სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964, 8-9.

ოდესცა ვის აქუს მობირებული ორლანოდ სამანქანოდ, მობირებული და მომბირებელიცა მსგავსად ზემოხსენებულისა სჯულისა განისაჯოს.<sup>22</sup> აღნიშნული დანაშაულით დანაშაულის უშუალო ამსრულებელია კაცი – მობირებული ორლანოდ<sup>23</sup> სამანქანოდ – ე.ი გადმობირებული ადამიანი, იარაღი სხვის ხელში რაიმე ქმედების განსახორციელებლად, ხოლო წამქეზებელი მომბირებელი. როგორც ვხედავთ, როგორც წამქეზებული, ისევე წამქეზებელი ისჯებიან ერთნაირი მკაცრი სასჯელით. ანალოგიური ხაზია გატარებული ამავე სამართლის 54-ე მუხლში: „ვინცა ხიდი და ციხის კარნი და ესევეთარნი დასწვას, თვინიერ ყოვლისა ცილობისა მოეკვეთოს მარჯუჴნე, და მბირებელიცა იტანჯოს ზემოხსენებულისამებრ სახისა.“<sup>24</sup> ე.ი აქაც წამქეზებელი – მბირებელი, ისევე ისჯება, როგორც უშუალო ამსრულებელი. დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვით, გადაბირება ასევე გამოიხატებოდა ტერმინით „მობირება“. სამართლის წიგნის მე-12 მუხლში ვკითხულობთ: „გამოიკითხონ მსაჯულთა, რათა არა იყოს მტერობით, გინა მობირებით, რომელთაცა ესეგუართა მკულელთა მიეხდების პატიჟი.“<sup>25</sup> აქაც საზგასმულია, რომ წამქეზებლები ისევე, ისჯებიან, როგორც უშუალოდ მკვლევები.

## **5. ადამიანის შეგულიანება დანაშაულის ჩადენისას, როგორც დანაშაულის ნაქეზების ერთ-ერთი სახე**

ქართული სამართლის ძეგლებში ხშირად გვხვდება დანაშაულის ჩადენა მეორე ადამიანის შეგულიანებით. შეგულიანება გულისხმობს ადამიანის ნაქეზებას, მოქმედების ხალისის გაჩენას.<sup>26</sup> განვიხილოთ დანაშაულის ჩადენის შეგულიანების მაგალითები ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით. ასევე, საინტერესოა გავავლოთ ზღვარი პირის შეგულიანებასა და გადაბირებას შორის. არის თუ არა ერთი და იგივე ქმედების ამსრულებელი დანაშაულის შემგულიანებელი და გადაბირებელი?

მე-18 საუკუნის განჩინებაში ერეკლე II-სა ზალდასტანიშვილების სასისხლო საქმეზე, ვკითხულობთ: ზალდასტანიშვილები ჩიოდნენ: „ყოჩიაშვილი თქვენი აბდარი ზუა აქ ქალაქს იყო, თქვენ გახლდათო...ჩემის ნასყიდის ყმისშვილები შეეგულიანებინაო – ერთი ბაცაცაშვილი ნინია და მეორე დათუაშვილი გლახა“ – შეეგულიანებინა – აქ გამოყენებულია დანაშაულის ნაქეზების გამოსახატავად, კერძოდ ყოჩიაშვილმა შეაგულიანა ნინია ბაცაცაშვილი და გლახა დათუაშვილი დანაშაულის ჩადენაზე. – „ჩვენ სამნი ძმანი შინ არ ვიყავითო და ჩვენი შუათანა ძმა იოსები შინ იყო; მიხდომოდნენ ჩვენს სასახლეში ცოლთან ჩვენს ძმას იოსებს მძინარეს, წასწოლოდნენ თავს და რვას ადგილას ხანჯლები დასცესო“. სასამართლოში დამნაშავე სამმა პირმა შემდეგი სახის ჩვენებები მისცა – „ყოჩიაშვილი ეუბნებოდა: თქვენ რომ თქვენის ბატონის იოსების სასიკვდილოთ შეხვედითო, მე არცარა შემოვსულვარ და არცარა საქმე მაქვსო. ამ გლახამა და ნინიამ უპასუხეს: ქალაქიდან რომ მოხველო, მოტყუებითაც შენ

<sup>22</sup> იქვე, 30-31.

<sup>23</sup> ორლანო – იარაღი. იხ. *ორბელიანი ს.*, *ლექსიკონი ქართული, ტ. 1, თბ., 1991, 607.*

<sup>24</sup> სამართალი ბატონისშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. *ფურცელაძემ*, თბ., 1964, 36.

<sup>25</sup> იქვე, 15.

<sup>26</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, *არნ. ჩიქობავას* გამოცემით, ერთტომეული, თბ., 1986, 476.

ქართულ ენაში ტერმინ „შეგულიანების“ სინონიმებია: ნაქეზება, წასისინება, მისისინება, მისევა, მიტევა, შეჩუჩხუნება, შეჩიჩხვირება, შეზრზენა, აზავთება, ცეცხლზე ნავთის დასხმა, ჯოჯოხეთს მუგუზაღს დაურთავს, აღძვრა, აგულიანება, დაყოლიება, განძრახება, დაქსევა, გაღვივება, დაყოლიება. იხ. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, მე-3 გამოც., თბ., 1978, 559.

მოგვატყუეო და შენ აგვიყოლიეო...და ამ იოსების სიკვდილი რომ გამოვარჩივეთო, მართალია, ჩვენ შევედით და შენ კარზე დასდევ თოფითაო და ასე გვითხარო: თქვენ შინ შედითო, მოკალითო და მე ამ კარზე თოფით დავდგებიო და თუ მეშველი მოვა ვინმე, მე თოფსა ვკრაო. და ჩვენი პირობა სულ ერთი იყოო. ყოჩიაშვილმა უპასუხა: მართალია, პირობაც ერთ გვექონდაო, სიტყვა და რჩევაცო, მაგრამ თქვენ რომ იოსების სასიკვდილოთ შეხვედითო, იქ აღარ შემოგყეო. და ეს გლახა და ივანე კიდეც ამას უპასუხებდნენ: შემგულიანებელიც შენ იყაო და მრჩეველიცო, ჩვენ შინ შეგვგზავნეო და შენ თოფით კარზედ დაგვიდეო.<sup>27</sup> როგორც მ. კეკელია მოცემული განჩინების ანალიზისას აღნიშნავს, „სახეზეა თანამონაწილეთა „ერთნებობა ერთზრახვის“ ისეთი კომპონენტები, როგორიცაა ორგანიზატორობა, შეგულიანება და მრჩეველობა, რასაც ერთი პირობა და ერთი მიზანი კრავს.“<sup>28</sup> მოცემულ განჩინებაში შეინიშნება როგორც ნაქეზების, ასევე დანაშაულის ორგანიზების ნიშნები.<sup>29</sup> ნაქეზების გამომხატველი ტერმინებია „შეგულიანება, შემგულიანებელი, მრჩეველი.“ ნინადადება „შემგულიანებელიც შენ იყაო და მრჩეველიცო“ – შემგულიანებელი და მრჩეველი ცალ-ცალკეა გამოხატული, რადგანაც განსხვავებული დატვირთვის მატარებელია. მრჩეველია ის პირი, ვინც დანაშაულის ჩამდენ პირს აძლევს მითითებას როგორ და რა ფორმით ჯობია დანაშაულის ჩადენა და ა.შ, ხოლო შემგულიანებელი აქტიურად ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, ამხნევებს მას, რათა ამ უკანასკნელმა ჩაიდინოს დანაშაული. განჩინება საინტერესოა კიდეც ერთი კუთხით. შემგულიანებელი ყოჩიაშვილი თავს იმართლებს იმით, რომ მას ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, მხოლოდ გარეთ იდგა, ერთგვარი მაყურებლის როლში, რომ მთავარი ამსრულებლებისთვის ვინმეს დანაშაულის ჩადენაში ხელი არ შეეშალა და ნიშანი მიეცა, ხოლო თავად არც შიგნით შესულა სახლში და არც ხანჯალი ჩაურტყამს დაზარალებულისთვის. ხოლო მეორე მხარე ედავება მას, რომ სწორედ მისგან შეგულიანებულნი შევიდნენ იოსების მოსაკლავად, სწორედ ყოჩიაშვილის ბოროტი ნება გახლდათ იოსების მოკვლა, ეს უკანასკნელნი კი მხოლოდ მისგან შეგულიანებულნი იყვნენ. სისხლის სამართალში არსებული გაბატონებული მოსაზრებით, პირი, რომელიც უშუალოდ არ ახორციელებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას (მაგ: დაჭრის შემთხვევაში დანით არ ჭრის პირს) და უბრალოდ გარეთ დგას, რათა ვინმემ ამსრულებლებს დანაშაულის ჩადენაში ხელი არ შეუშალოს, არის თანამონაწილე – დამხმარის სახით.<sup>30</sup> თუმცა, მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ გარეთ მდგომი პირი არის ჩვეულებრივი ამსრულებელი და სახეზე გვაქვს არა თანამონაწილეობა, არამედ ჯგუფური დანაშაული, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი არის დამოუკიდებელი ამსრულებელი, ხოლო გარეთ მდგომი პირი ფუნქციონალური თანამასრულებელი, რადგანაც ფუნქციონალურად არის დაკავშირებული დანაშაულის უშუალო ამსრულებელთან.<sup>31</sup> მოცემული სტატიის ფარგლებში, ჩვენი შესწავლის საგანი არ არის რომელი თეორიაა უფრო სწორი, თუმცა, ჩვენ, მხარს ვუჭერთ პირველ თეორიას, რომ გარეთ მდგომი პირი არის თანამონაწილე – დამხმარის სახით და არა ფუნქციონალური თანამასრულებელი, რადგანაც პირი,

<sup>27</sup> ქართული სამართლის ძეგლები, რედ. ი. დოლიძე, ტ.5, თბ., 1974, 692-694. 439-440.

<sup>28</sup> კეკელია მ., ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ძველ ქართულ სამართალში, თბ., 2015, 66.

<sup>29</sup> „დანაშაულის ჩადენის პროცესში ორგანიზატორი იმავდროულად შეიძლება იყოს ამავე დანაშაულის უშუალო ამსრულებელი ან წამქეზებელი, მაგრამ ორგანიზატორის ფიგურა გადაფარავს მას.“ იხ. ტურავეა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოც., თბ., 2013, 331.

<sup>30</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. 2, თბ., 2007, 135-137.

<sup>31</sup> ტურავეა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოც., თბ., 2013, 336-337.

რომელსაც დაჭრაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულის ამსრულებლად ვერ ჩაითვლება. ამ მოსაზრებას გავყვებით ზემოთ მოყვანილი განჩინების განხილვის დროსაც. შესაბამისად, გარეთ მდგომ ყოჩიაშვილს სურდა ერთგვარად თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა, რადგანაც იგი იოსების დასაჭრელად სახლში შიგნით არ შესულა (შესაძლოა სპეციალურად და წინასწარგანზრახულად არ შევიდა შინ და ე.წ. „შავი“ საქმის შესრულება სხვებს გადააბარა), თუმცა აქ კანონი ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ მის ქმედებას, არამედ მის შინაგან, სუბიექტურ განწყობას და ბოროტი ნების არსებობას. კერძოდ, ყოჩიაშვილს შიგნით შესულ ორ პირზე უფრო მეტად სურდა იოსების მოკვლა და ამიტომ მისი ნება უფრო ბოროტია, უშუალო ამსრულებლებთან მიმართებით. ამასთან, მოცემულ განჩინებაში ვხედავთ, რომ ყოჩიაშვილი არა მხოლოდ უბრალო დამხმარეა, არამედ ის არის წამქეზებელი და მეტიც ორგანიზატორი დანაშაულის ჩადენისა, რადგანაც სწორედ მან დაგეგმა დანაშაულის განხორციელება, მოიძია და შეაგულიანა ორი პირი, გასცა მითითებები, მიიყვანა ისინი შემთხვევის ადგილზე, მათ შიგნით შეუძღვა დანაშაულის ჩასადენად, თავად კი გარეთ დადგა თოფით ხელში, რათა არავის არ შეეშალა ხელი დანაშაულის ჩადენაში. შესაბამისად, სწორედ ყოჩიაშვილია სულისჩამდგმელი ანუ ორგანიზატორი აღნიშნული დანაშაულის ჩადენისა, ამიტომ იგი მოცემულ დანაშაულში არის ყველაზე უფრო მეტად საშიში ფიგურა, მიუხედავად იმისა, რომ მას დანაშაულის უშუალო განხორციელებაში მონაწილეობა არ მიუღია. განჩინებაში ეს ყველაფერი კარგად არის გათვალისწინებული, რადგანაც პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მოსამართლეებმა დაადგინდეს შემდეგი: „რამდენიც ესენი ვალაპარაკეთ, სამნივ სწორნი ამხანაგნი არიან და სწორი დანაშაული აქვსთ...ჯამში შეიქმნა ასოცდაცამეტი თუმანი და ორი მინალთუნი. ეს ყოჩიაშვილმა ზუამ, ბაცაცაშვილმა ნინიამ და დათუაშვილმა გლახამ სამთავ სწორედ უნდა დაუურვონ“. – განჩინებიდან კარგად ჩანს, რომ სამართალმა სამივეს ქმედება თანასწორად მიიჩნია და სამივეს დააკისრა სისხლის ფასის გახდა თანასწორად, ე.ი თითოს მოუწია ორმოცდახუთი თუმნის და ოთხი მინალთუნის გადახდა. მიგვაჩნია, რომ სასამართლოს გადწყვეტილება არის სამართლიანი, სწორედ შეფასდა ის ფაქტი, რომ მართალია ყოჩიაშვილი გარეთ იდგა და თითქოს არაფერი უქნია, თუმცა რეალურად ყველაფერი მისი დაგეგმილი და ნამოქმედარი იყო. შესაბამისად, ქმედების სუბიექტური მხარე და მისი ბოროტი ნება დანაშაულის ჩადენისა – სასამართლომ შეფასების გარეშე არ დატოვა. ამავე განჩინებაში მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ რადგანაც ნინია ბაცაცაშვილი და გლახა დათუაშვილი დაზარალებული მხარის ნასყიდი ყმები ყოფილან, იმათი დანაშაული ამითაც მძიმდება, რომ ბატონის მიმართ მსგავსი დანაშაული ჩაიდინეს, ამიტომაც ნასყიდი ყმები „ახლა ნასისხლათაც მიეცა იოსებსა“. აქვე დაზუსტებულია, რომ „რადგანაც ამ ბიჭების მამებსა და ძმებს ამათი განზრახვა არა სცოდნიათ, იმათ კი ნასისხლად ვერ დაიჭერენ. როგორც ნასყიდი ყმები ყოფილან, ისევ ისრე უნდა იყვნენ“.<sup>32</sup> აქ, ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ყმების მიერ დანაშაულის ჩადენაში მათი ძმები და მამები არ მონაწილეობდნენ, მათ არც იცოდნენ და არც განზრახვა ჰქონდათ მათთან ერთად მსგავსი დანაშაულის ჩადენისა, შესაბამისად მათი თანამონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში ყველანაირად გამორიცხულია. ამასთან, განჩინებიდან კარგად ჩანს განსხვავება ნასისხლ ყმასა და ნასყიდ ყმას შორის, რომ ნასისხლი ყმის სამართლებრივი მდგომარეობა ბევრად უფრო მძიმე იყო, ვიდრე ნასყიდი ყმისა. ამიტომაც, რადგანაც მამანი და ძმანი უბრალონი იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე

<sup>32</sup> ქართული სამართლის ძეგლები, რედ. ი. დოლიძე, ტ.5, თბ., 1974, 692-694, 440-441.



ყმები ნასისხლი ყმების სტატუსს იძენდნენ, მათი უბრალო ნათესავები ისევ ნასყიდი ყმების მდგომარეობას ინარჩუნებდნენ. საბოლოო ჯამში, უნდა ითქვას, რომ განჩინება დაფუძნებულია სუბიექტური შერაცხვის პრინციპზე, ყველა პირი პასუხს აგებს დანაშაულებრივ ქმედებაში თავისი მონაწილეობის ხარისხის და განზრახვის არსებობის ფარგლებში, ასევე დაცულია დანაშაულის ჩამდენი პირების ოჯახის წევრების უფლებები, რომლებიც უბრალონი არიან დანაშაულის ჩადენაში. განჩინება იცნობს, როგორც ორგანიზატორის, ასევე წამქეზებლის და დამხმარის გამომხატველ ტერმინებს, მოსამართლეები სწორ შეფასებას აძლევენ დანაშაულის ჩამდენი თითოეული პირის არა მხოლოდ ქმედებას, არამედ მათ განზრახვასა და განწყობას, რაც საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილების მიღებისას სწორედ სუბიექტური შერაცხვის პრინციპის გათვალისწინებაზე მიგვითითებს.

ადამიანის შეგულიანება დანაშაულის ჩადენისას ერთი შეხედვით ძალზედ ჰგავს გადაბირებას, როგორც დანაშაულის წამქეზების ერთ-ერთ სახეს. მართლაც, ორივე შემთხვევაში სახეზეა წამქეზებლის მიერ ამსრულებლის დაყოლიება კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის. თუმცა, გადაბირების დროს ადგილი აქვს გადმობირებული პირის წამქეზებლის მხარეს გადმოყვანას. მაგალითად, გადმობირებული ყმა გადმოდის ერთი ბატონიდან მეორე ბატონის მფლობელობაში და აღასრულებს ამ უკანასკნელის ნებას, რაც მუდმივ ხასიათსაც ატარებს, ხოლო შეგულიანება უფრო ერთჯერადი ხასიათისაა და ემსახურება შეგულიანებულის ნების განმტკიცებას, რათა მან დაძლიოს ყოყმანი, რაც ახლავს დანაშაულის ჩადენას და განუმტკიცდეს განზრახვა, განახორციელოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

## 6. დასკვნა

ზემოთ განხილული განჩინებებიდან ვხედავთ, რომ წამქეზებლები საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ ადამიანის გადაბირებას კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად. არსებობდა გადაბირება დანაშაულის შეგულიანებისგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ გადაბირებული პირი, ხშირ შემთხვევაში, გადადის გადამბირებლის მხარეს, ან ხდება პიროვნების გადაბირება მტრის ბანაკში, რაც გარკვეულწილად განასხვავებს დანაშაულის გადაბირებას, ზოგადად დანაშაულის სიტყვიერი წამქეზებისგან. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო ჯამში წამქეზებლობის სახეების მსგავსი სახით დაჯგუფება მხოლოდ პირობით ხასიათს ატარებს და დასახელებული დანაშაულები მაინც სიტყვიერი წამქეზების ცნების ქვეშ ერთიანდებიან. მოცემული სტატიის ფარგლებში კი მსგავსი სახის გამიჯვნის შემოთავაზება ემსახურება მიზანს, უფრო თვალსაჩინო გახდეს ის განმასხვავებელი ნიშნები, რაც დანაშაულის წამქეზებლობასთან დაკავშირებით გვხვდება ქართული სამართლის ძეგლებში.

გადაბირებით და შეგულიანებით დანაშაულის ჩადენის დროს, თანამონაწილენი არც ერთ შემთხვევაში არ თავისუფლდებოდნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და მეტიც, მათი პასუხისმგებლობა უფრო მეტად იყო გამოკვეთილი, ვიდრე უშუალო ამსრულებლებისა, რომლებიც შემთხვევის ადგილზე წამქეზებლების ნებას აღასრულებდნენ. ზემოაღნიშნული რასაკვირველია ბრალეული პასუხისმგებლობის განსაზღვრისას სუბიექტური შერაცხვის პრინციპის არსებობაზე მიუთითებს, რადგანაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ექვემდებარება არა მხოლოდ დანაშაულის უშუალო ამსრულებელი, არამედ ის პირიც, ვინც სიტყვით და რჩევით აქეზებს მეორე პირს დანაშაულის ჩასადენად. გარდა ამისა, გარდაბირებლის და შემგულიანებლის დასჯადობის წინა პლანზე წამოწევა იმითაც არის

განპირობებული, რომ ძირითადად ასეთები არიან ბატონები, რომლებიც შემთხვევის ადგილზე დანაშაულის ჩასადენად თავიანთ ყმებს აგზავნიან. ხოლო პრევენციულობის კუთხით, სამართალს ბატონის ქმედების დასჯადობა უფრო აინტერესებს, ვიდრე ყმის, რაც გამართლებულიც არის, რადგანაც ამ შემთხვევაში სწორედ ბატონია დანაშაულის მთავარი სულისჩამდგმელი.

**ბიბლიოგრაფია:**

1. *კეკელია მ.*, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ძველ ქართულ სამართალში, თბ., 2015, 66.
2. *ორბელიანი ს.*, ლექსიკონი ქართული, ტ. 1, თბ., 1991, 104, 607.
3. სამართალი ბატონისშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964, 8-9, 15, 30-31, 36.
4. *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოც., თბ., 2013, 331, 336-337.
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას გამოცემით, ერთტომეული, თბ., 1986, 476.
6. ქართული სამართლის ძეგლები, რედ. ი. დოლიძე, ტ.5, თბ., 1974, 692-694, 439-441.
7. ქართული სამართლის ძეგლები, რედ. ი. დოლიძე, ტ. 6, თბ., 1977, 516, 525-527, 545, 569-572
8. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, მე-3 გამოც., თბ., 1978, 559.
9. ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, შემდგ. გრიგოლ რუხაძე, თბ., 2008, 6.
10. *წერეთელი თ.*, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. 2, თბ., 2007, 8, 16-17, 135-137, 164.